სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება № 01-05-04/153

12 ივნისი 2019

ქ. თბილისი

ჩარჩოდოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებისა და თანახელმძღვანელის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის საბჭოს 2019 წლის 23 მაისის სხდომის №53 ოქმის, სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათის, ფაკულტეტის საბჭოს 2019 წლის 3 ივნისის №6 სხდომის ოქმისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 12 ივნისის №01-05-02/12 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოდიფიცირებული სახით დამტკიცდეს ჩარჩოდოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული (მოდულური) საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციული ტექნოლოგიის მხარდაჭერა“; პროგრამის თანახელმძღვანელი ლევან ბრეგაძე;
2. ზემოაღნიშნულ პროგრამაზე გაიზარდოს სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 15 ადგილით;
3. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6

დადგენილებას თან ერთვის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტისა და სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის საბჭოს სხდომათა ოქმებიდან ამონაწერები (იხ. დანართი).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**